

თიბისი კაპიტალი

უკრაინა-რუსეთი დროული თუ დაგვიანებული გადაწყვეტა?

28 თებერვალი 2022

ოთარ ნადარია

მთავარი ეკონომისტი, თიბისი ჯგუფი

ანა მჟავანაძე

უფროსი მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილება
თიბისი ბანკი

ცოტნა მარღია

ანალიტიკოსი

#SUPPORTUKRAINE

სცენარი – დროული გადაწყვეტა

საერთაშორისო დაშვებები

- შედარებით ხანმოკლე კონფლიქტი. უკრაინის ნაწილი ოკუპირებულია, თუმცა საბრძოლო მოქმედებები აღარ გრძელდება.
- რუსეთის მიმართ წესდება სანქციები, მაგრამ რუსეთი აგრძელებს ენერგორესურსების ექსპორტს. SWIFT-დან ძირითადი ბანკების გათიშვა დროებითია.
- ხდება სხვა სანქციების მხოლოდ ეტაპობრივი შერბილება.
- 2014-2015 წლების შოკისაგან განსხვავებით, ნავთობისა და სხვა სასაქონლო პროდუქტების ფასები მაღალია, რაც ორივე ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია. ბრენტის ტიპის ნავთობის ფასი 105 დოლარს აღწევს, წლის ბოლოსაკენ კი 85 დოლარამდე მცირდება.
- ეს სცენარი, [ჩვენი წინა შეფასების](#) მსგავსია, თუმცა ეკონომიკის ზრდაზე და ვალუტებზე უფრო მეტი ნეგატიური ზეგავლენით.
- 2022 წელს უკრაინის ეკონომიკა - 10-15%-ით, ხოლო რუსეთის დაახლოებით 4%-ით მცირდება. რუბლი და ჰრივნა კი 30 და 20%-ით უფასურდება, სანცის პერიოდში შესაძლო კიდევ უფრო მეტი გაუფასურებით, განსაკუთრებით რუბლის შემთხვევაში.

ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

- 2022 წელს საქართველოში მშპ-ს ზრდა 6%-დან 3.5-4.0%-მდე მცირდება და ლარი დოლართან 5%-ით, დაახლოებით 3.15-მდე უფასურდება. ამასთან, სანცის პერიოდში 3.3-3.4-მდე დროებითი გაუფასურება არაა გამორიცხული.
- ამ სცენარში, [ეროვნული ბანკის ინტერვენციები](#) და საგარეო დაფინანსებით ფისკალური სტიმული ზომიერია, თუ საერთოდ საჭირო, რადგანაც წმინდა შემოდინებებში დანაკლისი 2022 წლის კონფლიქტამდე არსებულ საბაზო სცენართან შედარებით დაახლოებით 400 მილიონ დოლარამდეა, ხოლო 2021 წელთან შედარებით დაახლოებით 170 მილიონი დოლარის გაუმჯობესებას აქვს ადგილი.
- დეპოზიტების ვალუტასა და სესხების ლარში გადატანას მხოლოდ მცირე მასშტაბი აქვს.
- 2022 წლის ინფლაცია სამიზნეზე მხოლოდ მცირედით მაღალია და წლის ბოლოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი არსებული 10.5%-დან, დაახლოებით 9%-მდე მცირდება. ამასთან, არაა გამორიცხული განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით გამკაცრება, ვიდრე შედარებით დროული გადაწყვეტის-სცენარი უფრო თვალსაჩინო გახდება.
- იმის გათვალისწინებით, რომ შოკი ეგზოგენურია, ანუ ის პანდემიის მსგავსად არაა ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორებით გამოწვეული, 2023 წლის აღდგენაც ძლიერია.

*თიბისი კაპიტალის 2022 წლის საგადასახდელო ბალანსის პროგნოზი იხილეთ შემდეგ [ბმულზე](#). თუმცა, სამხედრო კონფლიქტამდე არსებული 6%-იანი ზრდის სცენარი, მანამდე დაშვებული 75%-ის ნაცვლად ტურიზმის 2019 წელთან შედარებით 80%-ით აღდგენას ითვალისწინებს.

სცენარი – დაგვიანებული გადაწყვეტა

საერთაშორისო დაშვებები

- კონფლიქტი კვარტალზე მეტი პერიოდის განმავლობაში გრძელდება.
- სანქციები საკმაოდ მძიმეა, SWIFT-დან გათიშვისა და ენერგორესურსების ექსპორტის ჩათვლით.
- რუსეთის შიდა საანგარიშსწორებო სისტემა, კრიპტოვალუტები და სხვა ტექნოლოგიები SWIFT-ის ალტერნატივას ვერ ასრულებს, თუმცა ქვეყნის შიგნით გადახდები შეუფერხებლად გრძელდება.
- სანქციების ზეგავლენის შერბილების მიზნით, ჩინეთის მხარდაჭერას ადგილი არ აქვს და რუსეთი ენერგორესურსების ექსპორტის ნახევარზე მეტს კარგავს.
- ქვეყნის საერთაშორისო აქტივების ნახევარზე მეტი დაყადაღებულია და რუსეთი შოკის მიტიგაციისათვის მხოლოდ მათ ნაწილს იყენებს.
- აშშ და ოპეკი ზრდიან ენერგორესურსების მიწოდებას.
- თუმცა, ფასები მაინც იზრდება. ბრენტის ტიპის ნავთობის ფასი 150 დოლარს აღწევს და წლის ბოლოსაკენ 120 დოლარის ფარგლებში განისაზღვრება.
- ამ სცენარში, უკრაინის ეკონომიკა დაახლოებით 20%-ით, ხოლო რუსეთის 7-10%-ით მცირდება. რუბლი და ჰრივნა კი, 50 და 30%-ით უფასურდება განსაკუთრებით რუბლის შემთხვევაში უფრო მეტი დროებითი გაუფასურების მაღალი ალბათობით.

ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე


- ამ სცენარში, გაანგარიშებული წმინდა დანაკარგი სავალუტო შემოდინებებიდან 2022 წლის კონფლიქტამდე არსებულ საბაზო სცენართან შედარებით 740-ს, ხოლო 2021 წელთან შედარებით 110 მილიონ დოლარს შეადგენს.
- ამასთან, ამ შემთხვევაში ლარის გაუფასურება არაა გათვალისწინებული, რაც იმპორტს ამცირებს, თუმცა ჩვენი შეფასების ნაკლები ეკონომიკური ზრდის ხარჯზე, რადგანაც ძირითადი ზეგავლენა არაა [ჩანაცვლების, არამედ შემოსავლების ეფექტიდანაა](#).
- ლარის მხოლოდ მცირე, 5-10%-ით გაუფასურების შემთხვევაში, 2022 წლის ზრდა კონფლიქტამდე არსებული 6%-იანი პროგნოზიდან, დაახლოებით 0.5%-მდე მცირდება და წმინდა შემოდინებების დანაკლისი ეროვნული ბანკის ინტერვენციებითა და მთავრობის საგარეო დაფინანსებით ბალანსდება. ჩვენი შეფასებით, ჯამურად 550 მლნ აშშ დოლარის მიწოდება არის საკმარისი.
- მნიშვნელოვანი გაუფასურების სცენარში, ლარი დოლართან დაახლოებით 3.5-მდე უფასურდება, დამატებითი დროებითი გაუფასურების ანგარიშგასაწევი ალბათობით, და წმინდა შემოდინებების დანაკლისი დაახლოებით ნახევრდება, თუმცა ეკონომიკის ზრდა მცირედით ნეგატიურია.
- საგარეო შოკის გარდა, ასევე რისკია, რომ ერთი მხრივ, ვალუტის დეპოზიტების, ხოლო ამავდროულად მეორე მხრივ, ლარის სესხების ზრდამ შოკი გაამწვავოს, როგორც ეს 2020-2021 წლებში მოხდა და პანდემიით [გამონვეული დანაკლისი დაახლოებით 50%-ით გაიზარდა](#).
- ამ შოკის გამაძლიერებლის დასაბალანსებლად, [სავალუტო რისკის დაზღვევის მექანიზმის](#) გამოყენებაა შესაძლებელი, თუმცა ეს ინსტრუმენტი საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული არაა და მისი შემოდების ალბათობაც დაბალია.
- დამატებით, სუსტმა რუბლმა და ჰრივნამ ასევე შესაძლოა ლარზე ზეწოლა გამოიწვიოს.
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მხრივ, დაახლოებით 1.5-2.5 პროცენტული პუნქტით გამკაცრებაა მოსალოდნელი, თუმცა წლის ბოლოსაკენ მნიშვნელოვანი შერბილების გათვალისწინებით, როდესაც ინფლაცია სამიზნეზე მაღალი იქნება, მაგრამ ის ერთნიშნა მაჩვენებელს არ გადააჭარბებს.

*თიბისი კაპიტალის 2022 წლის საგადასახდლო ბალანსის პროგნოზი იხილეთ შემდეგ [ბმულზე](#). თუმცა, სამხედრო კონფლიქტამდე არსებული 6%-იანი ზრდის სცენარი, მანამდე დაშვებული 75%-ის ნაცვლად ტურიზმის 2019 წელთან შედარებით 80%-ით აღდგენას ითვალისწინებს.


დამხმარე რაოდენობრივი შეფასება

უკრაინისა და რუსეთის წილი 2021 წლის შემოდინებაში შეადგენს დაახლოებით 20%, თუმცა მოიცავს რეექსპორტის ნახევარზე მეტ წილს, ისევე როგორც ტურიზმის, ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების იმპორტის კომპონენტს

საგარეო შემოდინებების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით



შემოდინებების სტრუქტურა ტიპების მიხედვით




წყარო: საქსატი, სებ, თბს კაპიტალი


შენიშვნა: 2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება კორექტირებულია არარეზიდენტიდან რეზიდენტ კომპანიებზე საკუთრების გადაცემის ერთჯერადი ტრანზაქციით, ფულადი სახსრების გადინების გარეშე, თუმცა FDI მაინც მცირდება დაახლოებით 295 მლნ აშშ დოლარით.

20%-იანი წილი ექსპორტში, გზავნილებსა და ტურიზმში მაღალ დამოკიდებულებას ასახავს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი კი დაბალია და მეტწილად შემოსავლების რეინვესტირებას წარმოადგენს


ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2021
სხვა ქვეყნები, 6%




გზავნილების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2021




FDI სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2021-ის 3კვ



ტურიზმის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2021




რუსეთისა და უკრაინის წილი ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალში (%)



წყარო: საქსტატი, სუბ, თბს კაპიტალი

სხვადასხვა სცენარი - ექსპორტი

უკრაინაში ექსპორტი პროდუქტების მიხედვით, 2021
(მილიონი აშშ დოლარი, სულ 307.3)



რუსეთში ექსპორტი პროდუქტების მიხედვით, 2021
(მილიონი აშშ დოლარი, სულ 610.0)



ექსპორტი, 2022, წლიური ზრდა (%)




- საქართველოს ექსპორტზე გავლენის შესაფასებლად
 - პირველ რიგში, ჩვენ ვყოფთ ექსპორტს დანიშნულების მოთხოვნაზე მგრძნობიარე და სასაქონლო კატეგორიებად. ამ უკანასკნელის ფასები ძირითადად საერთაშორისო ბაზრებზე დგინდება. შესაბამისად, სხვა ბაზრების პოვნა შედარებით ადვილია.
 - მეორე, დარჩენილი სენსიტიური პროდუქტებისთვის დაშვებულია, რომ საშუალოდ 55% იმპორტის წილს შეადგენს. მაგალითად, ტრადიციულ საექსპორტო პროდუქტში, როგორცაა ღვინო, იმპორტის წილი დაახლოებით 50%-ა.

წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი


სხვადასხვა სცენარი - გზავნილები

გზავნილები ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარში)



წყარო: სუბ, თიბისი კაპიტალი


გზავნილები, 2022, წლიური ზრდა (%)



- წმინდა შემოდინებებზე ზემოქმედებისთვის, გათვალისწინებულია გზავნილების ხარჯვაში იმპორტის დაახლოებით 40%-იანი წილი.


სხვადასხვა სცენარი - ტურიზმი

შემოსავლები ტურიზმიდან: აღდგენა ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარში, 2019-ის შესაბამისი თვე=100)



წყარო: სუბ, თიბისი კაპიტალი

ტურიზმი, ზრდა 2019 წელთან (%)



- წმინდა შემოდინებებზე ზემოქმედებისთვის, გათვალისწინებულია ტურისტულ ხარჯებში იმპორტის კომპონენტის დაახლოებით 45%-იანი წილი.

მშპ-ს ზრდის პროგნოზი

წლიური ზრდა, %	2020 ფაქტობრივი	2021 ფაქტობრივი	2022 საბაზისო კონფლიქტის გარეშე	2022 დროული გადაწყვეტა	2022 დაგვიანებული გადაწყვეტა
ექსპორტი*	-12.0	+26.5	+12.0	+0.5	-10.7
ტურიზმი*	-83.4	-62.0% vs 2019	-20% vs 2019	-32.2% vs 2019	-44% vs 2019
გზავნილები*	+5.5	+25.5	+11.0	+2.3	-10.2
FDI*	-30.5	+21.0	+29.3	+10.0	0.0
საქონლისა და მომსახურების იმპორტი*	-19.3	+21.5	+17.9	+9.7	-4.8 - -1.1
ბიუჯეტის დეფიციტი**	9.3	6.7	4.4	5.5	7.0
საბანკო რეალური კრედიტი***	+14.9	+8.6	+9.0	+6.5	+3.5
მშპ-ს ზრდა	-6.8%	+10.6%	+6.0%	+3.5%	-1.5% - +0.5%

*ზრდა აშშ დოლარში ** მშპ-თან ფარდობა, ფინანსთა სამინისტროს დაგეგმილი მაჩვენებელი, IMF-ის მეთოდოლოგია ***პერიოდის საშუალო, მუდმივი გაცვლით კურსით და ინფლაციით მოსწორებული. მშპ-ის პროგნოზისათვის გამოყენებულია ინფლაციით შესწორებული პერიოდის საშუალო სესხების ზრდა. ასევე, მშპ-ის ზრდის შეფასება ეყრდნობა შემოდინებების შეფასებას რეალურ გამოსახულებაში ლარში და არა აშშ დოლარში. ამასთან, ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ეკონომიკის ზრდაზე ზეგავლენის მხრივ გამოყენებულია სხვადასხვა დაშვება

წყარო: საქსტატი, სეზ, ფინანსთა სამინისტრო, თიბისი კაპიტალი

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურიდიულ სფეროებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურიდიულ სფეროებში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურიდიულ სფეროებში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურიდიულ სფეროებში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტიციებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.



თბილისი კაპიტალი

#SUPPORTUKRAINE